



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებითი (minor) პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობები

ქუთაისი
2011

პროგრამის დასახელება

საერთაშორისო ურთიერთობები (minor)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა შეიძინოს ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებებისა და თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესახებ.

შეისწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული ძირითადი ტენდენციები და მიდგომები, თეორიაში არსებული უახლესი მიმდინარეობები.

მიიღოს კომპლექსური ცოდნა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, გლობალური და რეგიონალური პროცესების შესახებ.

ზოგადი კომპეტენციის დაუფლების მიზნით პროგრამით გათვალისწინებულია საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს. დარგობრივი კომპეტენციებიდან პროგრამა ითვალისწინებს სპეციალობის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსი.

სწავლის შედეგები :

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით:

ცოდნა და გაცნობიერება

- პოლიტიკური მეცნიერებების ცნებით-კატეგორიული აპარატის ფლობა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდოლოგიის დაუფლება;
- საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიების საფუძვლიანი ცოდნა;
- საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ცოდნა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული განვითარების ეტაპების თანამედროვე საერთაშორისო სისტემასთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაცნობიერება.
- სახელმწიფო სისტემების ძირითადი თავისებურებებისა და მათი ჩამოყალიბების ისტორიული ეტაპების ცოდნა.
- პოლიტიკური იდეოლოგიების არსისა და წარმოშობის მიზეზების ცოდნა; პოლიტიკური იდეოლოგიებისა და მსოფლიო პოლიტიკური პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაცნობიერება.
- საერთაშორისო სამართლის ცნებების, პრინციპებისა და წყაროების, ძირითადი კონვენციების ცოდნა, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა.
- საერთაშორისო პოლიტიკური ტენდენციებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების ცოდნა.
- საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკის საბაზისო ცოდნა და საერთაშორისო ურთიერთობებში მათი როლის განსაზღვრა.

- მსოფლიო ეკონომიკური პროცესებისა და პოლიტიკური ეკონომიის პრობლემების საბაზისო ცოდნა;
- ეროვნული და რეგიონალური პოლიტიკის თავისებურებების ცოდნა და მსოფლიო პოლიტიკურ ტენდენციებთან მათი ურთიერთკავშირის გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

1. პროფესიული ტერმინოლოგიისა და მეთოდების გამოყენების უნარი კვლევის წარმოებისას.
2. დამოუკიდებელი კვლევების წარმოებისას არსებული სამეცნიერო ლიტერატურის პროფესიულად გამოყენების უნარი.
3. დარგობრივი ცოდნის საფუძველზე გლობალური, რეგიონალური, ეროვნული პოლიტიკური მოვლენების ანალიზის უნარი.
4. საერთაშორისო ურთიერთობების სხვა სოციალურ მეცნიერებებთან დაკავშირების უნარი, ძირითადი ზოგად-მეცნიერული, სპეციფიკური, შიდა დისციპლინარული და დისციპლინათაშორისი საკითხების კომპლექსურად შესწავლის უნარი.
5. პროფესიული ეთიკა.

დასკვნის უნარი

- საკუთარი მოსაზრების ლოგიკურად ჩამოყალიბება და არგუმენტირებული მსჯელობა; დისკუსიის წარმართვის უნარი, საკუთარი მოსაზრების დაცვისა და სხვისი აზრის პატივისცემის
- მრავალმხრივი დარგობრივი ინფორმაციის დამუშავებისა და კლასიფიკაციის უნარი.
- მსჯელობის ლოგიკის წვდომა, მრავალმხრივი დარგობრივი ინფორმაციის მიმართ კრიტიკული და ანალიტიკური დამოკიდებულება, ინტერპრეტაციის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- პროფესიული ინფორმაციის მოპოვების მიზნით თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენების უნარი.
- სახელმწიფო ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით ცოდნის დამაჯერებლად და დასაბუთებულად წარმოჩენის უნარი.
- პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი.
- კომუნიკაბელურობა, გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი, ცვალებად გარემოსთან შეგუებისა და ზეგეგმიური მუშაობის უნარი;
- საჯარო, კერძო და არასამთავრობო სტრუქტურებთან პროფესიული ურთიერთობებისა და ინფორმაციის გაცვლის უნარი

სწავლის უნარი

- დარგობრივი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების უნარი.
- დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურად დაგეგმვის უნარი.
- დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ცოდნის განახლებისა და პროფესიული განვითარების უნარი.

ღირებულებები

- ზოგად საკაცობრიო იდეების და მიღწევების დაცვა და პატივისცემა
- ეროვნული ფასეულობების და ღირებულებების, ტრადიციების დაცვა და პატივისცემა
- ახალი ფასეულობების და ღირებულებების ფორმირებაში და მათ დამკვიდრებაში მონაწილეობის სწრაფვა და სურვილი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

საკონტაქტო: პასიური და აქტიური (სალექციო ფორმით)

ინტერაქტიური (სამუშაო ჯგუფში მუშაობა);

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა;

სწავლების პროცესში გამოიყენება:

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:

სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია;

წიგნზე მუშაობის მეთოდი:

დამოუკიდებელი სამუშაო შესასრულებლად დავალების მიცემა წიგნზე მუშაობის სახით;

ახსნა–განმარტებითი მეთოდი – მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ და დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში.

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში.ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51-ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ: უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრი.

სასწავლო გეგმა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./დამ.მუშ.	კრედი-ტარაოდენობა	სემესტრები								წინაპირობა	
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
1	საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია	3	30.15.80	5			5							
2	საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები	3	30.15.80	5			5							
3	დიპლომატიური და საკონსულო სამართალი	3	30.15.80	5						5				
4	კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში	3	30.15.80	5				5						
5	საერთაშორისო ურთიერთობების იდეოლოგიები	3	30.15.80	5					5					
6	საქართველოს საგარეო პოლიტიკა	3	30.15.80	5					5					
7	ევროკავშირი, ნატო და საერთაშორისო უსაფრთხოება	3	30.15.80	5						5				
8	საერთაშორისო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკის ისტორია მე-20 საუკუნეში	3	30.15.80	5				5						
9	საერთაშორისო კონფლიქტები	3	30.15.80	5							5			
10	დიპლომატიური პროტოკოლი	3	30.15.80	5							5			
11	საერთაშ. ორგანიზაციები და საერთაშორისო თანამშრომლობა	3	30.15.80	5								5		
12	გეოპოლოტიკა	3	30.15.80	5								5		
	სულ			60			10	10	10	10	10	10		

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/პრ./დამ.მუშ. - ლექცია/პრაქტიკული/დამოუკიდებელი მუშაობა.